P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

გოგი წულაია მძღოლების სავარაუდო გაფიცვას აანონსებს და ქუთაისის მერიას ურჩევს, მოიკლოს „დროსტარების ხარჯები“

მე-2 გვერდზე

ქუთათელ-გაენათელ მეუფე კალისტრატეს სასამართლოში უჩივიან

ჟურნალისტი მეუფეს კუთვნილ ხელფასს ედავება



მე-2 გვერდზე

№1 (763) 27 თებერვალი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

„ჯერ ჩვენ თავთან უნდა ვაღიაროთ, რომ დედა ეკლესია ცუდ დღეშია“

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საეკელიო სკანდალის დაწყებიდან უკვე სამი კვირა გადის და საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ სრულიად გაუმჭვირვალეა ინფორმაცია იმის შესახებ, რეალურად მზადდებოდა თუ არა პატრიარქის თუ რომელიმე მარალი საეკლესიო იერარქიის პირის მოწამვლვა ციანიდით, რომლის გამოც დღემდე წინასწარპატიმრობაშია მამა გიორგი მამალაძე. დღემდე ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები თუ მოსაზრებები ვრცელდება როგორც მედიით, ისე სოციალური ქსელებით.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად მიიქცია მანანა ქურციკიძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულმა სტატუსმა და ეს განსაკუთრებულობა იმის გამოცაა, რომ ქალბატონი მანანა თავად ამ წიაღში ცხოვრობს რამდენიმე ათეული წელია, ის მეუფე ზინობის მეუღლეა. შესაბამისად, მისი დაკვირვებით გაკეთებული ანალიზი, ვფიქრობტ, ძალიან საინტერესოა.

გთავაზობთ მანანა ქურციკიძის კომენტარს, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა.

„ჩემი 27 წლიანი დაკვირვების შედეგად და ბოლო 2 კვირის მოვლენების თვალის დევნების საფუძველზე... საბოლოოდ დავასკვენი _ როცა საქმე ეკლესიას ეხება, ქართველი ადამიანი ერთდროულად ბრმაც ხდება, ყრუც და მუნჯიც.

ვიღაცამ ძალიან მაგრად შეგვაშინა, რომ ღმერთი დაგვსჯის, თუკი რელიგიურ უსამართლობას ვამხელთ, თუკი სასულიერო პირის აუგს ვიტყვით (დამსახურებულად, რა თქმა უნდა), თუკი თვალს კარგად გავახელთ... თუ კი შავის გათეთრებაზე თავს არ დავაკანტურებთ.... თუ კი, თუ კი, თუ კი...

არადა, არასოდეს არსად მინახავს უსამართლობაზე თავის მოდრეკის იმდენი ფაქტი, რაც ამ 25 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ეკლესიასთან ახლო კავშირი მაქვს.

ჩემს თვალწინ ხდებოდა კეთილი მამების ჩაგვრა და ხალხის მტრად გამოცხადება მაღალი სასულიერო იერარქის მიერ.... მაგრამ რა... საქმე ხომ ეკლესიას ეხება და უსამართლობას ხალხი ასე ხვდებოდა : " ჩვენ ვინ მოგვცა მისი განსჯის უფლება." მერე მიდიოდნენ და რუდუნებით კოცნიდნენ ათასი ცოდვის ჩამდენ ხელს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ მიენიჭა მაღალი ამბიონიდან პირჯვრის გადასახვის უფლება, რომ უშიშროებამ ასე ისურვა.

არა და არა ბატონებო.

ღმერთი არ დაგსჯით იმის გამო, თუკი იტყვით, რომ ასე არ შეიძლება. ღმერთი მოწყალეა და დიდი. ღმერთი გვპატიობს, ღმერთს ვუყვარვართ და ყველაზე მეტად ტკივა ის სიბინძურე, რასაც მისი სახელით ჩადიან ქალნი თუ კაცნი. ღმერთი არ მფარველობს უსამართლობას.

ამიტომ სჯობს, ერთხელ გავუსწოროთ თვალი სიმართლეს. ჯერ ჩვენ თავთან ვაღიაროთ, რომ დედა ეკლესია ცუდ დღეშია.

ცუდ დღეშია ჩვენი ბრძენთაბრძენი პატრიარქი...

ცუდ დღეში ვართ ჩვენ... რადგან იძულებული ვართ, ჩუმად ვიყოთ და ჩვენი შიში ქრიატისნულ მორჩილებად და რწმენად მოვნათლოთ.

მეც მეშინია. თქვენთან ერთად მეც მეშინია, სიმართლის ძიებამ ქართული ეკლესიის რეპუტაცია არ შეიწიროს, მაგრამ, აქვე დიდ საიდუმლოს გაგიმხელთ. ქართული ეკლესიის იმიჯი დიდი ხანია, შელახულია. მას შემდეგ, რაც ახალმა თაობამ ჯიპიან მამაოებზე დაიწყო ქილიკი. მას შემდეგ, რაც ერთი ადამიანის თვალში მაინც გაჩნდა ირონია სასულიერო პირის მიმართ.

შეხედეთ თქვენს შვილებს, შვილების მეგობრებს... ხედავთ მათ თვალებში იმავე მოწიწებას, რასაც საკუთარ მზერაში? ხედავთ იგივე შიშს, იგივე სიყვარულს?....

შეხედეთ და სიმართლის მთქმელებს ქვას კი ნუ დაუშენთ .... იფიქრეთ, რით შეიძლება ვუშველოთ ჩვენ რწმენას და ეკლესიას, რომელმაც 20 საუკუნე მხრებით გვატარა.

იფიქრეთ და იქნებ მაშინ მაინც გამოჩნდეს სინათლე გვირაბის ბოლოს.“

მანანა ქურციკიძე

„ჩემი 3500-წლოვანი ქალაქის ისტორია არ იწყება მაკდონალდსის პავილიონით!“

რომელი ტურისტი ჩამოდის ქუთაისში ჰამბურგერის საჭმელად?

მას შემდეგ, რაც ქუთაისის ისტორიულ ნაწილში, დავით აღმაშენებლის მოდანზე ტროტუარი შემოღობეს და მაკდონალდსის მაკეტი გამოაკრეს, მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა დაიწყო, მოქალაქეთა აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი, რომელიც ამ სახით ქალაქში ინვესტიციის შემოსვლას ხედავს, ამ მშენებლობის მომხრეა, მეორე ნაწილი კი მშენებლობას აპროტესტებს და აღნიშნულ ტერიტორიაზე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აშენებას ითხოვს.



მოსახლეობის კრიტიკულად განწყობილ ნაწილს გაუჩნდა ლოგიკური კითხვები, როგორც მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით ასევე შენობის არქიტექტურულ მხარეზეც. მშენებლობის გასაპროტესტებლად ქუთაისში უკვე შექმნილია საინიციატივო ჯგუფი „ქუთაისის მომავლისათვის,“ რომელიც პერნამენტულად საპროტესტო აქციებს აწყობს.

მაკდონალდსის თავდაპირველი პროექტი დაიწუნეს ადგილობრივმა არქიტექტორებმაც. ერთ-ერთმა გამორჩეულმა ქუთაისელმა არქიტექტორმა **დავით მელქაძემ** ასე შეაფასა ეს ფაქტი: **„ასეთი ტიპის ობიექტის ასეთ გეოგრაფიულ არეალში აშენება დანაშაულია და ამის იურდიული დასაბუთებაც შესაძლებელია. მე რომ ვაპროექტებდე ამ მაკდონალდსის შენობას, ვურჩევდი ნიკეას უბანში აშენებას. იქ გაცილებით მეტი კლიენტურა ეყოლება. ნუთუ, მერიაში აღარ დარჩა ვინმე ცოცხლად მოაზროვნე?“**

პირველი წინააღმდეგობის ტალღის დაშოშმინება დროებით იმით მოახერხეს, რომ პროექტის შეცვლის დაპირება გაიცა .თუმცა მშენებლობის ნებართვის გაცემამდე მიწის მოსამზადებელი სამუშაოები შეუჩერებლად მიმდინარეობს.

და, აი, რამდენიმე დღის წინ მერიამ და მაკდონალდსის წარმომადგენლებმა ქუტაისის საზოგადოებას ახალი პროექტი წარუდგინეს, თუმცა, პროექტში, ფაქტობრივად ბევრი არაფერი შეცვლილა, შენობა უბრალოდ, უფრო მწვანე ფერშია გადაწყვეტილი.

პრეზენტაცია საკმაოდ რთულ და დაძაბულ სიტუაციაში წარიმართა, ფაქტობრივად ძალიან ემოციურ დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდა:

„ჩემი 3500 წლის ქალაქის ისტორია არ იწყება მაკდონალდსის ჯიხურით თუ პავილიონით!“, „ესაა კანალიზაციის ტრუბა ქუთაისში... ამის აშენებას კიდევ ის სჯობს, ტუალეტები მაინც აუშენეთ ტურისტებს“, „რომელი ტურისტი ჩამოდის ქუთაისში ჰამბურგერის საჭმელად?“, „ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ არ არსებობს ქუთაისის განვითარების გეგმა და ვისაც სად და რა მოეხასიათება, იქ ჩადგამს რასაც უნდა!“ - ესაა იმ ფრაზების ნაწილი, რაც ქალაქის მოსალოდნელი დამახინჯების მოწინააღმდეგე ქუთაისელებმა

„მაკდონალდსის“ პროექტის ესკიზი

დააფიქსირეს პრეზენტაციაზე.

ქუთაისის მერმა კი პროექტთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს მშვიდად უპასუხა. მან მოწინააღმდეგეების აზრს არარგუმენტირებული უწოდა და განაცხადა, რომ მერია ვალდებულია, დაიცვას კანონი. „ამ შემთხვევაში კი ყველაფერი კანონის დაცვით ხორციელდება. სენსიტიური ადგილია და არც მოველოდით, რომ ყველას მოეწონებოდა. გამოკითხვებში კი უმეტესწილად პოზიტიური დამოკიდებულება იგრძნობა. ასე მეც ბევრი რამე შეიძლება არ მომწონდეს.“- განაცხადა შოთა მურღულიამ.

„მიწა უკვე გაყიდულა და მას კანონიერი მფლობელი ჰყავს. აღნიშნული ტერიტორია არ არის ქალაქის ჩვეულებრივი ნაწილი, ის არის კულტურული მემკვიდრეობის არეალი, ამიტომ ამ მდგომარეობაში რჩება მხოლოდ ერთი სამართლებლივი ბერკეტი. **მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით უნდა მიხდეს ამ ურბანული არეალის დამატებით შესწავლა და შესაბამისი პროექტის მომზადება, ვიდრე მოხდება ამჟამინდელი პროექტის დამტკიცება,“**- ამ ერთადერთ გამოსავალს ხედავს სტუდენტი, კულტუროლოგი, საინიციატივო ჯგუფის „ქუთაისზე მზრუნველთა საზოგადოების“ წევრი, **სოფო ზვიადაძე.**

ქუთისის ადგილობრივ თითმმართველობაში კი პროექტის საბოლოო ვარიანტი მოსწონთ და დიდი ალბათობით უახლოეს მომავალში მშენებლობის ნებართვასაც გასცემენ, თუ, რა თქმა უნდა, მოსახლება პროტესტის უფრო მწვავე ფორმას არ მიმართავს.

თუმცა, ხელისუფლებამ იცის, რომ ხალხი მშიერი და სხვა ათასგვარი პრობლემებით დამძიმებული ჰყავს ქუთაისში და ფიქრობს, რომ ისინი მასობრივ საპროტესტო ტალღას ვერ ააგორებენ, ამიტომ „თავი ქუდში აქვთ“ და ძალაც შესწევთ აღმართის მოსახნავად...

მაგრამ... არის კიდევ ბევრი მაგრამ, რის გამოც ქუთაისელთა დიდი ნაწილი პოზიციების დათმობას არ აპირებს.

ლიკა დევდარიანი

PS news.ge

ISSN 1987-7056

ქუთათელ-გაენათელ მეუფე კალისტრატეს სასამართლოში უჩივიან

ჟურნალისტი მეუფეს კუთვნილ ხელფასს ედავება

ქუთაის-გააენათის მიპროპილიტ კალისტრატეს ჟურნალისტი დალი ბარაბაძე, თანხის მითვისების ბრალდებით სასამართლოში უჩივის. სასამართლო პროცესი კი სხვადასხვა მიზეზთა გამო საეჭვოდ ჭიანურდება.

როგორც დალი ბარაბაძისგან ვგებულობთ, 2004 წელს მეუფე კალისტრატეს კურთხევით დაარსდა გელათის სასულიერო აკადემიის რადიო „კვალი ნათელი“, რომელიც საპატრიარქოს რადიოს ეთერით გადიოდა და რომლის რედაქტორიც თავად იყო: „50 ლარი მქონდა ხელფასი, გადაცემა ქუთაისში მონტაჟდებოდა და ყოველ კვირაში ჩამქონდა შემდეგ თბილისში. 2006 წლის ბოლოს ქუთაისის მერიაში შევიტანე წერილი რადიოგადაცემების დაფინანსების გაგარძელებაზე და ეპარქიას ამ საკითხისთვის გამოუყვეს 8000 ლარი, თუმცა იქედან მე არაფერი შემხვედრია.“

როგორც დალი ბარაბაძე ამბობს, იყო მცდელობა, რომ მიეღო მისი კუთვნილი ხელფასი ამ თანხიდან, თუმცა უშედეგოდ, მიუხედევადა ამისა, მუშაობას მაინც განაგრძობდა.

2007 წელს გაზეთ „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა დალი ბარაბაძის ინტერვიუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც იგი მეუფე კალისტრატემ სამსახურიდან გაათავისუფლა. ჟურნალისტმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში, სადაც მოწინააღმდეგე მხარემ განაცხადა, რომ დალი ბარაბაძე სამსახურიდან რამდენიმე მიზეზით გაათავისუფლეს: გადაცემას არ ჰ ქონდა ლიცენზია და რომ გაზეთში გამოქვეყნებული მისი მასალა იყო ცილისმწამებლური.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ადასტურებს, რომ ამ გადაცემას არ სჭირდებოდა ლიცენზია, ვინაიდან იგი იყო ერთსაათიანი და გადიოდა საპატრიარქოს ეთერით, რომელიც თავის მხრივ ფლობდა ლიცენზიას.

დალი ბარაბაძის თქმით, მას სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაც კი მანამდე არ ცაბარებია, ვიდრე სასამართლო დავა არ წამოიწყო. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ყალბი დოკუმენტები წარმოადგინა: „დოკუმენტს არააქვს ნომერი და რიცხვი, ფალსიფიცირებულია და საბუთს ხელს დირექტორის ნაცვლად, გადაცემის წამყვანი აწერს.“ ამაზე კომენტარი გააკეთა მეუფის ადვოკატმა: „არცერთი საბუთი არ არის ყალბი, როცა მღვდელმთავარი აწერს ხელს საბუთზე, როგორ შეიძლება, ის იყოს ყალბი.“

საბუთები ამჟამად პროკურატურაშია და როგორც აქ განგვიცხადეს, საქმე დასრულებული არ არის და მიმდინარეობს მოკვლევა.

დალი ბარაბაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ იგი მეუფის მრევლისგან განიცდის აგრესიას: „ქადაგებები აგებულია ჩემს დისკრედიტაციაზე, მრეველს განაწყობს ჩემს წინააღმდეგ, ქუჩაში მხვდება ხალხი, რომელიც ძალიან აგრესიულადაა განწყობილი ჩემს მიმართ. ამას წინათ მოდიოდა კაცი, სტიქარი ეცვა, მოყვებოდა თან მანდილოსანი, რომელმაც გადაულაპარაკა: ესაა ის ავადმყოფი ქალი, მეუფე კალისტრატეს რომ უჩივისო.“

დალი ბარაბაძე კი თვლის, რომ სამწუხაროა, როცა ქვეყანაში სიმართლის მაძიებლებს ავადმყოფის იარლიყს აკერებენ, თუმცა ბრძოლას მაინც ყოველთვის აქვს აზრი.

სასამართლო პროცესი ჩანიშნულია 27 თებერვალს, თერთმეტის ნახევარზე.

მეგი კაკაბაძე

მურთაზ ბებიას „ჩემპიონთა სამჭედლო“

მურთაზ ბებია

ქუთაისში, სარაჯიშვილის 6 ნომერში, ყოფილი სამხდრო ჰოსპიტალის ძველ შენობაში მდებარეობს ყველასაგან მივიწყებული "კინ-ბოქსინგის" სპორტული კლუბი „ იმედი“. იგი 1994 წელს ჩამოაყალიბა ოჩამჩირის რაიონიდან იძულებით გადაადგილებულმა პირმა, საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეულმა მურთაზ (სანატრელი) ბებიამ, რომელიც ყველასაგან მიტოვებული, უფლის იმედაა დარჩენილ. ის ბედის უკუღმართობას არასდროს შეგუებია და იბრძოდა, როგორც შეეძლო, მრავალი მსოფლიო ჩემპიონი აღზარდა და თავის საქმიანობას ახლაც, 65 წლის ასაკშიც აქტიურად აგრძელებს.

სპორტული დარბაზი, სადაც 5 მსოფლიო ჩემპიონი, 3 პრიზიორი, 1 შავი ქამრის მფლობელი, 10 საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, 2 ევრაზიისა და 18 საქართველოს ჩემპიონი აღიზრდა, ასე გამოიყურება: ჩაბნელებული შენობა, ნესტისაგან ჩამოშლილი კედლები, დაზიანებული სახურავი, რომელიც წვიმას ვერ აკავებს, ჩავარდნილი იატაკი და საკუთარი ხელით შეკერილი რამდენიმე სავარჯიშო ტომარა.

ეს არის დამსახურებული მწვრთნელის ანუ „მასტერის“, როგორც მას მოსწავლეები უწოდებენ, მთელი ავლადიდება. თავად შენობა კი სამხედრო ჰოსპიტალის კუთვნილებას წარმოადგენს. ჩვენთან საუბარში გულდაწყვტილმა მწვრთნელმა თქვა, რომ შენობა წინა ხელისუფლებამ ჩინელ ინვესტორს მიჰყიდა. ჯერჯერობით კი სპორტზე და ახალგაზრდებზე შეყვარებულ მწვრთნელს ბინაც აქ აქვს დადებული და ამავე შენობაში ცხოვრობს სრულიად მარტო. ამბობს, რომ საკუთარი ბინა ავტოქარხანაში აქვს და იმის გამო, რომ გზაში დრო არ დაკარგოს, აქ ამჯობინებს დარჩენს. ძალიან უყვარს ეს ადგილი და ყოფილი ჰოსპიტალის ეზო. სწორდ ეზოს და ბუნების გამო აირჩია თავის დროზე აქაურობა. „მე ბუნების გარეშე არ შემიძლია ცხოვრება. აქაურობა ამ ეზოს გამო მიყვარს. ჩაკეტილ სივრცეში ვერც ვივარჯიშებ და ვერც ვიცოცხლებ დიდხანს.“

საკუთარი საქმეზე უანგაროდ შეყვარებული „მასტერი“ საბრძოლო სულისკვეთებას არ არასდროს დაუტოვებია და არც აღსაზრდელების ნაკლებობას განიცდის. ალბათ, ეს არის კლუბ „იმედის“ მწვრთნელის ყველაზე დიდი იმედი და მოტივაცია, დარჩეს თავისი საქმის ერთგული.

ჩვენთან საუბრისას მან სიხარულით მოგვითხრო, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ 2016 წლის მწვრთნელად დაასახელა და შესაბამისი დიპლომიც გადასცა. ვთხოვეთ მისი სპორტული ისტორიის არქივი ეჩვენებინა. სიმართლე გითხრათ, ძალიან შევწუხდით,როდესაც ამ დონის მწვრთნელმა მუყაოს ყუთი გამოიტნა და მისთვის ძვრფასი ნივთების: ფოტოების, ჩანაწერების, დიპლომების, სერთიპიკატების ამოლაგება დაიწყო.

„მე ამისთვისაც მადლობას ვუხდი უფალს, რაც მაქვს. ამ ეტაპზე ჯანმრთელობის მეტი არაფერი მინდა. მიუხედავად ამდენი წარმატებისა, ყოველი შეჯიბრის წინ შიში მიპყრობს, რადგან ჩემი ბიჭები მხოლოდ შეჯიბრის დღეს ხედავენ დიდ და ნამდვილ რინგს.“ — გულისწყვეტით თქვა ჩვენთან საუბარში მურთაზ ბებიამ.

ჩვენ კი მისი ერთი აღზრდილით დავინტერესდით განსაკუთრებით. მსოფლიომ იცის, თავის დროზე საქართველოში დაწუნებული ქუთაისელი სპორტსმენის, ავთანდილ ხურციძის, იგივე „ჩაქუჩას“ სახელი, რომელსაც „მინი ტაისონი“ უწოდეს უცხოეთში, თავისი წარმატებების გამო. აი, რას წერს ის თავის პირველ მწვთნელზე: „თუ რამეს მივაღწიე სპორტში, ჩემი პროფესიონალი მწვრთნელის, მურთაზ ბებიას დამსახურებაა. საერთოდ, მე მან მომამზადა ცხოვრებაშიც და მსოფლიო ჩემპიონობისთვისაც, ბატონმა მურთაზმა შთამაგონა სპორტსმენისათის ესოდენ საჭირო მაღალი მებრძოლი სულისა და თავდაუზოგავი შრომის აუცილებლობა მიზნის მისაღწევად, მასწავლა რინგზე ხელის ჩაქუჩივით ხმარება, ზედმეტსახელი „ჩაქუცაც“ მან შემარქვა“.

„ჩაქუჩა“ ერთ-ერთია იმ წარმატებული სპორტსმენებიდან, ვინც მურთაზ ბებიას წყალობით თავისი ოცნება აიხდინა.

„ ვარსკვლავთცვენაა მწვრთნელი ბებიას დოსიეში, ამიტომ მიანჭა მას კინგბოქსინგის ფედერაციამ გრანდმასტერის ტიტული. ბებიას აღსაზრდელებს ნორმალური სავარჯიშო პირობები უნდა ჰქონდეთ, ქვეყანამ მეტი ყურდრება უნდა გამოიჩინოს ამ ახალგაზრდების მიმართ, საზოგადოებამ, მედიამ მეტი უნდა იცოდეს „ ჩემპიონთა სამჭედლოს“ შესახებ და ქართველ ჩემპიონებს უნდა დაუფასდეთ ჩემპიონობა „- ამბობს ქუთაისის სპორტის მუზეუმის დირექტორი ზურაბ ჯავახაძე.

სტატიის ბოლოს მინდა, იმედი დავიტოვო, რომ სპორტულ კლუბს „ იმედი“ და მის ერთგულ მწვრთნელს გამოუჩნდებათ ნამდვილი გულშემატკივარი.

ლიკა დევდარიანი

გოგი წულაია მძღოლების სავარაუდო გაფიცვას აანონსებს და ქუთაისის მერიას ურჩევს, მოიკლოს „დროსტარების ხარჯები“

პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა გოგი წულაიამ მედიისთვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, იგეგმება საქალაქო ტრანსპორტზე მგზავრობის ტარიფის გაზრდა, რაც გამოწვეულია საწვავის გაძვირებით.

„მაქვს ინფორმაცია, რომ ყველა ტიპის საწვავზე ფასი 20-30 თეთრით მოიმატებს, რაც შესაბამისად, ტრანსპორტის გაძვირებასაც გამოიწვევს. მე ვიცი, რომ ამ მოთხოვნით ქუთაისის მერიაში უკვე შესულია განცხადება, მაგრამ მერია მას მალავს. ისიც ვიცი, თუ მერი არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, ისინი მარტში გაიფიცებიან, რაც სრულიად სამართლიანი იქნება.

ამ სიტუაციაში ერთდერთი გამოსავალია, მერიამ თვალი გაუსწოროს რეალობას და მოიკლოს დროსტარების ხარჯები, რასაც არასაჭირო ღონისძიებებში ხარჯავს და ამ ფულით დაეხმაროს მოსახლეობას. თუ რა ხარჯები შეიძლება შეამცირონ, ამ საკითხზე ვმუშაობ უკვე და მალე გაგაცნობთ ჟურნალისტებს."

გოგო წულაიას მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას უარყოფენ ქუთაისის მერიაში.

„ოპოზიციური პარტიები იმდენად ხშირად აანონსებენ ტრანსპორტის გაძვირების თემას, აშკარად თვითონ სურთ, ფასებმა მოიმატოს და ეს მოსახლეობაზე ცუდად აისახოს. ჩვენი ინფორმაციით, თვითონ ოპოზიციური პარტიები აწარმოებენ მსგავს მოლაპარაკებებს მძღოლებთან,"- განაცხადა ქუთაისის მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა ირაკლი ცხვედიანმა.

ლიკა დევდარიანი

გოგი წულაია

საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა გრძელდება

მიმდინარე წელს ხუთი საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა იგეგმება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას აგრძელებს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მრავალი პროექტიდან საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომლის მთავარი იდეა საჯარო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოფლის გაძლიერებაა. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, საზოგადოებრივი ცენტრები შენდება მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში; მრავალრიცხოვან, მჭიდროდ დასახლებულ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე და საზღვრისპირა სოფლებსა თუ დაბებში.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 44 საზოგადოებრივი ცენტრი მოქმედებს. აქედან 17 ცენტრი 2016 წელს გაიხსნა.

საზოგადოებრივი ცენტრი მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით ისარგებლოს. სოფელში ცენტრის ფუნქციონირება ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფლიდან გაუსვლელად სახელმწიფო და კერძო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას. საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით სოფლიდან გაუსვლელად ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და არქივის ყველა სერვისის მიღება. ასევე, ცენტრებში გაიცემა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სერვისები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისები (მაგალითად, სასკოლო ატესტატის მიღება); სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისები. ცენტრებში განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა; შეხვედრების ოთახი, რომლის გამოყენებაც ადგილობრივ მოსახლეობას, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს უფასოდ შეუძლიათ; სკაიპის ოთახი; სწრაფი გადახდის აპარატები და სხვ.

საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ცენტრებში 250-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული და 300 000-ზე მეტი სერვისია გაცემული

ყველაზე მოთხოვნადი სერვისების ხუთეული:

- ❖ სერვისების განვითარების სააგენტოს პროდუქტები: პირადობა/პასპორტი და სხვ. - 200 000-მდე;
- ❖ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სერვისები - 50000-ზე მეტი მომსახურება;
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტო - 40 000-მდე სერვისი;
- ❖ ეროვნული არქივი - 20000-მდე მომსახურება;
- ❖ შპს მექანიზატორი - 2 000-ზე მეტი სერვისი.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით, სოფლებში არა მხოლოდ საჯარო სერვისები, არამედ „მაგთისა" და „ლიბერთი ბანკის" მომსახურებაც გახდა ხელმისაწვდომი, რაც პენსიონერებს – პენსიის სოფლიდან გაუსვლელად მიღების, ახალგაზრდებს კი უფასოდ უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის საშუალება მიეცათ. ცენტრების გახსნამდე ბევრ ამ სოფელში არც ბანკისა და არც მობილური ოპერატორის ოფისები არ არსებობდა.

ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურები ამ სოფლებში პირველად ამოქმედდა და ადგილობრივ მოსახლეობას იმავე სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა, რომლითაც დიდი ქალაქების მცხოვრებნი სარგებლობენ. დღეისათვის საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს შემდეგ სოფლებსა და დაბებში: შამიანში, სართიჭალაში, გომში, რუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ფოკაში, ნიგოითში, ჯვარში, შორაპანში, ყვარელწყალში, მუხაესტატეში, გეგუთში, მეჯვრისხევში, კაჭრეთში, ხიდისთავში, ნუკრიანში, კორბოულში, ღორეშაში, კაზრეთში, შილდაში, ორსანტიაში, ქვემო ნატანებში, კაბალში, ლენტეხში, ჩაქვში, ხრეითში, სადახლოში, რუხში, დიდ ჯიხაიშში, მარტყოფში, იორმუღანლოში, არხილოსკალოში, ტყვიავში, ვალეში, ბერძენაულში, უსახელოში, კიცხში, ბარალეთში, ლაჯანაში, კუმურდოსა და წალკაში.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. დეტალური ინფორმაცია საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე:

centre.gov.ge.

SWEDEN

განათლების სამინისტრო სკოლების მოვლა-პატრონობის პროგრამას იწყებს

წლიდან განათლების სამინისტრო სკოლებისთვის მცირე ინფრასტრუქტურული ხარჯების დაფინანსებას იწყებს და სკოლების მოვლა-პატრონობის ბიუჯეტს განსაზღვრავს. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, სკოლების მოვლა-პატრონობის პროექტი საქართველოში პირველად ხორციელდება და მისი მიზანი შენობების ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებაა.

ალექსანდრე ჯეჯელავა

2017 წელს სახელმწიფო გამოყოფს 2,5 მილიონ ლარს, რაც სასწავლო დაწესებულებებში დაზიანებული ელექტროობის, სახურავის და მსგავსი პრობლემების მოგვარებას უნდა მოხმარდეს.

პროცესს კოორდინაციას საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები გაუწევენ. ყველა რეგიონში შეარჩევენ კონტრაქტორ ფირმას, რომელიც მომსახურებას განახორციელებს. როგორც მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, პირველადსაქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში 2017 წელს გამოჩნდა სკოლების მოვლა-პატრონობის ბიუჯეტი.

„ჩვენ გვაქვს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელსაც ჯამში აქვს 100 მილიონამდე ბიუჯეტი, თუმცა, რეალურად სიტუაცია იყო ასეთი – შეიძლება სკოლას ინფრასტრუქტურისთვის ჰქონოდა 10 ათასი ლარი, მაგრამ არ ჰქონდა 50 ლარი, რომ ელექტრიკოსი მოეყვანა და შეეკეთებინა კონკრეტული რამ. ასეთ საკითხებზე აქამდე თანხა არ იყო გათვალისწინებული. ყველა თანხა განიკარგებოდა ერთნაირად, ტენდერებით, რომელიც გამოცხადდება და უნდა დაელოდო 6 თვე.

შენობის სახურავში ცოტა წყალი რომ ჩამოვა, თუ ყურადღება არ მიექცა, საძირკველში ჩავა და დასანგრევი გახდება. მერე ბედნიერად გამოვაცხადებთ ტენდერს, დავხარჯავთ 5 მილიონს და ავაშენებთ ახალ სკოლას, არადა 5000 რომ დაგვეხარჯა, აქამდე არ მივიდოდით. ანალიზი არის ძალიან მარტივი, რომ, სადაც უვლიან სკოლას, უფრო მეტ დროს უძლებს შენობა. წელს პირველად ჩვენ გვაქვს სადღაც ორნახევარი მილიონი ლარი მსგავსი საკითხებისთვის.

ეს არის პირველი ნაბიჯი. შეიძლება ეს თანხა დიდად ჟღერს, მაგრამ ამოცანასთან შედარებით მცირეა. ახალი აშენებული და ახალი გაკეთებული სკოლები რაც გვაქვს, თავიდანვე ყველა ჩართული იქნება მოვლა-პატონობის რეჟიმში, რომ აღარ დაზიანდეს. ჩვენი ამოცანაა, რომ ამ სკოლებმა 50 წელი გაძლონ," – განაცხადა განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ნატო გუგელაძე

რამდენი ყურძნის მარცვალია ერთი ბოკალი ღვინო?

იცოდით, რომ 1 ბოკალი ღვინო უდრის 75 მარცვალ ყურძენს? თინათინ დვალიშვილის მომზადებული ინფოგრაფიკიდან კი იმასაც შეიტყობთ, რამდენი ძირი ვენახია 1 ტონა ყურძენი.

მევენახეობის კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.acda.gov.ge 21 მარტამდე გაგრძელდება.

პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივს 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცემა, ხოლო კოოპერატივმა - საწარმოს შენობა-ნაგებობის მოწყობა უნდა უზრუნველყოს.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილი პირობებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰა ფართობი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ხიხვი, ქისი, გორული მწვანე, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთული, წულუკიძის თეთრა (რაჭული).

სტურად ნიკა ვაჩეიშვილის ატენურ მარანში

გინახავთ ზამთარში ატენის ხეობა და თოვლის საბურველში გახვეული სიონის ტაძარი? იქედან კი საფეხმავლო ბილიკით სტუმრებიხართ ნიკა ვაჩეიშვილის მარანს, რომ ბუხრის პირას ატენური ღვინო დაგეგემოვნებიათ?
- ამ კითხვებზე თუ დადებითი პასუხი არა გაქვთ, გირჩევთ, რომ უახლოესი „უიქენდი“ სწორედაც რომ ატენში გაატაროთ.

მანამდე კი, ჩვენს „ინფო-ტურზე“ გიამბობთ, რომელიც კულტურის ყოფილი მინისტრის, ბატონ ნიკა ვაჩეიშვილის მიპატიჟებით „ფეისბუქის“ ჯგუფის - „ინფო გიდებისათვის“ - წევრებმა დაგეგმეთ და ჩვენი არაჩვეულებრივი „ადმინის“, ლევან რევაზიშვილის ხელმძღვანელობით, ღირსეულად განვახორციელეთ კიდეც.

ატენის სიონთან ბატონი ნიკა ვაჩეიშვილი შემოგვეგება და ჩვენი ექსკურსიაც აქედან დაიწყო.

ცნობილია, რომ ისტორიულად, ატენი საქართველოს იერუსალიმის - ქალაქ მცხეთის იკონოგრაფიულ ასლს წარმოადგენდა. ამიტომ აქ მე-5 საუკუნეში, კლდის კონცხზე აგებული ბაზილიკური ტაძრის ადგილას, აიგო მცხეთის ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ეკლესია, მახლობლად დღემდე შემონახული „სვეტიცხოვლის“ ტაძრითა თუ წმ. ნინოს სახელობის ადრეული ეკლესიით

ამჟამად ტაძარი შიგნით მთლიანად ხარაჩოებშია ჩასმული და იტალიურ-ქართული საერთაშორისო პროექტის ფარგლებში კონსერვაცია მიმდინარეობს. როგორც ბატონმა ნიკამ გვითხრა, ძალიან რთული და შრომატევადი პროცესია, ტაძრის ქვები შიგნიდანაა დაზიანებული და უცხოელი რესტავრატორების დახმარებით ქვების გამამაგრებელი ნივთიერება თითოეულში „შპრიცისმაგვარი“ მილებით შეჰყავთ.

ტაძრის ისტორიას და საინტერესო დეტალებს, ბატონ ნიკასთან ერთად, სიღრმისეულად გვიამბობს ასევე ადგილობრივი წარმომადგენელი , ბატონი პაატა ბესტავაშვილი. მისგან ვგებულობთ, რომ მე-19 საუკუნის მოგზაურის, დიუგუას თეორიის მიხედვით მეცნიერებში კარგა ხანს იყო გავრცელებული აზრი, რომ ატენის სიონის არქიტექტორი სომეხი თოდოსაკი იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც ტაძრის შიდა კედლებზე მეცხრე და მერვე საუკუნის წარწერებიც კი აღმოაჩინეს, მათ შორის ბუღა თურქის წარწერა, გაბათილდა აზრი არქიტექტორად თოდოსაკის აღიარებაზე, რადგან ის გაცილებით გვიან საუკუნეებში მოღვაწეობდა...

სიონის ტაძრიდან გამოსულები თეთრ, გაუკვალავ თოვლიან ბილიკს მივუყვებით და წინ მასპინძელი მიგვიძღვის, პერიოდულად ვჩერდებით, ერთმანეთს ველოდებით და ამასობაში, გზადაგზა ბატონი ნიკა გვიამბობს, რომ მართალია, ის წარმოშობით გურულია და ატენთან ოჯახური წარმომავლობა არ აკავშირებს, მაგრამ სიყმაწვილე და ახალგაზრდობა ამ მხარეში აქვს გატარებული, აქ ასწავლიდა პირველად სკოლაში, ძალიან უყვარს აქაურობა და სულ უნდოდა, რომ თავისი სახლი სწორედ ატენში ჰქონოდა. ჰოდა, როცა კი მიეცა იმის საშუალება, რომ აქ მიწა ეყიდა, ბევრი აღარც უფიქრია: „გამიმართლა და 50 წლის ვენახი შევიძინე, კარგად მოვლილი და წელგამაგრებული. ვენახი სახლთან ახლოს გვაქვს. ახალი ვაზიც მივამატეთ. ორი მივიწყებული ქართული ჯიში - ბუდეშური (თეთრი ღვინო) და დანახარული (შავი ღვინო) ჩავყარეთ. მათგან საუკეთესო, ხარისხიანი ღვინო დგება.

ნიკა ვაჩეიშვილი სიამაყით გვიყვება „ტანას ხეობის კულტურული ლენდშაფტის“-უძველესი ტერასების, ძველი სარწყავი სისტემების თუ იმ კლდეების შესახებ, რომელიც ატენურ ღვინოს განუმეორებელ გემოს აძლევს...

ცოტაც და თოვლიანი ბილიკით ნიკა ვაჩეიშვილის ულამაზეს სასტუმრო კომპლექსსა და მარანს მივადექით. ეზოში ეთნოგრაფიული კოლორიტის მიხედვით მოწყობილი ორი ფაწჩატურია, ერთგან თივისგან დამზადებულ „სავარძლებში“ შეგიძლია დაისვენო, ხოლო მეორეგან - სანაქებო ატენური ღვინოები დააგემოვნო და მისი ბუკეტის სურნელი შეიგრძნო.

იქვე ბუხარიც დაუნთია მასპინძელს და შეშის ტკაცან-ტკუცუნიც ისმის.

კომპლექსის დათვალიერებას სასტუმროს მეორე სართულიდან ვიწყებთ, სადაც ძალიან სასიამოვნო თანამედროვე ესთეტიკა და ძველებური ნივთები ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის. ვგებულობთ იმასაც, რომ აქაური გემოვნებიანი დიზაინის ავტორი ბატონი ნიკას არქიტექტორი მეუღლე, ქალბატონი დიანა ბოლოთაშვილია, რომელსაც ტურისტულ სეზონზე ამ საოჯახო ბიზნესის მენეჯერობაც უწევს ხოლმე.

ისინი ტურისტებს მრავალფეროვან და საინტერესო მასპინძლობას უწევენ, დაწყებული ე.წ. კლდეების ვენახის, ტერასების დათვალიერებით, სამი სახეობის ღვინის დეგუსტაციით, გაგრძელებული სადილის სამზადისში სტუმრების მონაწილეობით თუ მინერალური საღებავით სიმბოლური სუვენირების დამზადებით და დამთავრებული მშვილდ-ისრის მიზანში სროლით, შუბის ტყორცნითა თუ ბუნებრივ კლდეზე ცოცვით...

ცოტაც და, ბატონი ნიკა „მარნის კარებს აჭრიალებს“ და გვეპატიჟება. შესვლისთანავე თავად პირჯვარს იწერს და ამით გრძნობ, რომ მარანი მისთვის საკრარული მნიშვნელობისაა. ვაჩეიშვილების მარანში საუკეთესო ატენური ღვინოების სურნელი ერთიან ჰარმონიას ქმნის და დაგემოვნების ინტერესი თავისთავად მძაფრდება.

მასპინძელი კი უფრო და უფრო მეტი სიამაყით გვიყვება, რომ ეს დიდებული მარანი ატენური კირისგან აშენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ცემენტით აშენებული მარანი მუდმივ ტემპერატურას ვერ იჭერს და ღვინო მალე ფუჭდება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შენობა ძალიან ხურდება ან პირიქით, ცივდება. კირით ნაგებში კი სტაბილური ტემპერატურაა. გვეუბნება, რომ იატაკად ადგილობრივი თიხა გამოიყენეს, მერე ზედ ბევრი ირბინეს და კარგად დატკეპნეს, ხოლო ზემოდან ქართული აგური დააგეს, რადგან როცა ქვევრის ჩაყრამდე მივა საქმე, თიხა და აგური ადვილად ამოიყრება.

- ჯერჯერობით, ვინაიდან ქვევრებს დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, ამ საქმეს ნელ-ნელა ვეპარები, სამომავლოდ ქვევრებსაც აუცილებლად ჩავყრი - გვეუბნება ბატონი ნიკა.

მარნიდან გამოსულები კვლვ თოვლიან ბილიკს მივუყვებით და რამდენიმე მეტრში, სასტუმრო კომპლექსის სიახლოვეს, ახალ გახსნილ „ფაცხაში“ ვხვდებით, სადაც მასპინძელი, ბატონი ნუკრი და იმერეთიდან მოწვეული შეფმზარეული ბატონი კახა უიშვიათესი გემოვნებით შექმნილი ქართული კერძებისა და ატენური ღვინის ნამდვილ ენოგასტრონომიულ „ფესტივალს“ გვიწყობენ. ჩვენ კი ნიკა ვაჩეიშვილის თამადობით დიდი სიამოვნებითა და ინტერესით ვცდილობთ, გავარკვიოთ, რომელ კერძს უფრო მეტად უხდება სანაქებო ატენური...

საბოლოოდ კი, ინფო-ტური იმ განცდით მთავრდება, რომ ჩვენი ჯგუფის წევრები პროფესიული დეტალების დაზუსტებას იწყებენ მასპინძელთან და თავიანთი მომავალი ტურისტებისთვის გათვალისწინებულ რუკაზე უპირობოდ და გამოკვეთილად შეჰყავთ ახალი ტურისტული მარშრუტი - უფლისციხედან ნიკა ვაჩეიშვილის მარნის ატენურ ღვინომდე...

ნატო გუბელაძე

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**